

თეკლე უგულავა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი

კოლხური და ყობანური კულტურების მსგავსება სამარხული ინვენტარის მაგალითზე

შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ორი კულტურის შესწავლის ისტორია გადაჯაჭვულია, რადგან თავდაპირველად აღმოჩნდა ყობანური კულტურა, შესაბამისად გაჩნდა მოსაზრება, რომ იქ აღმოჩენილი ინვენტარი ყობანური კულტურის ნაწილი იყო, მაგრამ მისი სახასიათო ნიშანი დღეს ფაქტობრივად სავიზიტო ბარათია კოლხური კულტურისთვის. საუბარი არის კოლხურ ცულზე, რომელიც ოდესღაც ყობანურ ცულად მიიჩნეოდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც კოლხური კულტურის საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო, მიხვდნენ, რომ სწორედაც კოლხეთში წარმოიშვა ეს კულტურა და შემდგომში გარკვეული მიზეზების გამო იყო მცდელობა ერთი და იმავე კულტურისთვის ორი განსხვავებული საფუძველი მიეცათ. ძირითადად ორივე კულტურაში აქტიურად გვხვდება მსგავსი სამარხები, სამარხთა ინვენტარის იდენტურობაზე საუბარი დაიწყო ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში, როდესაც ბაგრატ ტეხოვა დაიწყო თლიას სამაროვნის ფუნდამენტალური შეისწავლა. ზოგადად, ორივე კულტურის უფრო დეტალურად შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორივე კულტურაში აქტიურადაა გამოყენებული ცულის ელემენტი, დაშნა-აკინაკები, სატევრები, რომლებიც კოლხური კულტურის ერთ-ერთი სახასიათო ნიშანია, აბზინდები, გარსაკავები, ფირფიტოვანი მშვილდსაკინძები, სარტყელები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მამაკაცებს და ქალების სამარხებში ვლინდება აუცილებელი ინვენტარის სახით მსგავსი ნივთები, ანუ ის ინვენტარის ტიპი, რომელიც არის ქალბატონის ან მამაკაცის სამარხში კოლხურ კულტურაში იდენტური ან მსგავსია იმისა, რასაც ვხვდებით იმავე სქესის ხალხის სამარხებში ყობანურ კულტურაში. ეს არის მამაკაცისთვის თიხის ქილისებური ჭურჭელი და ბრინჯაოს ან რკინის ცული, ხოლო ქალბატონებისთვის ეს არის მარცხენა ხელთან დაშნა-აკინაკი, ზოგ შემთხვევებში გვხვდება ორი შუბის პირი ფეხებთან, ასევე ქალბატონების სამარხებში ხშირია აქატის, პასტის, ქარვის და სარდიონის მძივები, რომლებიც იყო განთავსებული მკერდის

და ყელის მიდამოებში, რაც მიუთითებს შესაძლო ტრადიციულ მორთულობაზე. ქალბატონების შემთხვევაში თიხის ჭურჭელი ძირითადად არის განთავსებული თავის ქალასთან, თუმცა ასევე ნითელი შუქურას შემთხვევაში ინვენტარი სქესის განურჩევლად გვხვდება სამარხის ცენტრალურ ნაწილში [გობეჯიშვილი 2018: 228], რაც თავისთავად ორივე კულტურის შემთხვევაში უნიკალური მოვლენაა. ორივე ყობანურ და კოლხურ კულტურების სამარხებში ხშირად გვხვდება საყოფაცხოვრებო ჭურჭელი. საგულისხმოა, რომ ბავშვების სამარხებში საყოფაცხოვრებო ნივთები ნაკლებადაა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირობითად მამაკაცის როლი კოლხურ კულტურაში იყო მსგავსი მამაკაცის როლთან ყობანურ კულტურაში. როგორც ვიცით, სამარხეული ინვენტარი მიუთითებდა ადამიანის სოციალურ პოზიციასა და მის როლზე საზოგადოებაში, იგივე ეხება ქალბატონებს.

ასევე ხშირად ორივე კულტურაში გვხვდება კრემაციის რიტუალი დასაფლავებამდე. ასეთია, მაგალითად, ყობანურ კულტურაში ტერეხეს სამაროვანის აკლდამა. კომოროვის სამაროვანზე [გობეჯიშვილი 2018] ასევე ფიქსირდება ცეცხლის გამოყენების პრეცედენტები. გუადიხუს სამაროვანში [გობეჯიშვილი 2018: 243-244] ტიპის მიუხედავად, შეინიშნება ცეცხლის კვალი ყველა სამარხში. როგორც ცნობილია, კოლხური კულტურის დასაკრძლავი რიტუალისთვის ხშირად დამახასიათებელი იყო ცეცხლის გამოყენება. იგივე ეხება აკლდამის კონსტრუქციას. აკლდამები კოლხურ კულტურაშიც გვხვდება ბრილის სამაროვანზე, ყობანურ კულტურაში კი აკლდამები გვხვდება ტერეხეს სამაროვანზე, თუმცა მათ კონსტრუქციებს შორის კავშირი არ შეინიშნება. არ შეიძლება უარყოფით დაკრძალვის რიტუალის მსგავსება. ასევე ხშირია ინჰუმანიცია კოლხურ კულტურაში. მაგალითად, ის გვხვდება ბრილის სამაროვანზე [ლორთქიფანიძე 2002: 129-131], და ყულანუხვის №1 სამაროვანში [გობეჯიშვილი 2018: 226]. ინჰუმანიცია ასევე გამოიყოფა დომინანტ სამარ-ხეულ ტრადიციად ყიზილ-ყალისა და კომოროვის სამაროვანებზე, ხშირად გვხვდება ულუბალანალის სამაროვანზე [გობეჯიშვილი 2018: 282-284; 330; 332-333]. ყულანუხვაში ასევე ფიქსირდება ცხენის ძვლები სამაროვანზე, რომელიც ასევე გვხვდება თლიას სამაროვანზე, ასევე ფიქსირდება ტერეხეს აკლდამაში [გობეჯიშვილი 2018: 326-327]. საინტერესოა, რომ სამივეგან გვხვდება ცხენის თავის ქალა. ამ დროს კოლხურ კულტურაში ცხოველის თავის ქალის ჩატანების ფაქტი ხშირია. საერთო დაკრძალვის ტრადიციები მიუთითებს საერთო რწმენა-წარმოდგენებზე. თლიის სამაროვანზე გვხვდება

ცხვრის კოჭები, რომელთაც ამულეტების დანიშნულება ჰქონდათ [ტეხოვი 1980: 21-42]. კომოროვის სამაროვანზე ასევე ხშირად ფიქსირდება ცხვრის ძვლები სამარხეულ კულტურებში, თუმცა ყობანურ კულტურაში ხშირად გვხვდება ბადიები ჩადგმული ცხვრის ძვლებით და არა მხოლოდ ამულეტები. მსგავსად ამისა, ასეთი ამულეტები ხშირად ფიქსირდება ბრილის სამაროვანზე [ვაჩაძე 2018: 59], რომელიც კოლხური კულტურის სამარხად არის მიჩნეული.

თლიის ორმოსამარხები გამოირჩევა პატარა ზომით, განსაკუთრებით გუადიხუსთან შედარებით. გამოირჩევა ასევე ოვალური ფორმის სამარხები, რომლებიც გვხვდება ნითელ შუქურაზე, გაგრასა და კისტრიკის ნამოსახლარზე [გობეჯიშვილი 2018: 228; 214-215; 252-253], რომლებიც კოლხური კულტურის ძეგლებად არან მიჩნეულნი. ხშირად გვხვდება დიფერენციაცია ორმოსამარხებს შორის, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს კულტურულ სხვაობას, იმიტომ, რომ ხშირად ერთ კულტურაშიც არის განსხვავებული სამარხების ქვეტიპები, მით უმეტეს, რომ ამ სამაროვნებზე ხშირად გვხვდება ორი ან სამი ქვეტიპი ორმოსამარხებისა.

იმის მიუხედავად, რომ თლია და გაგრა მდებარეობს ერთმანეთის საპირისპირო გეოგრაფიულ ზონაში, ორივეში ფართოდაა გავრცელებული ქვასამარხები, რომლებიც ერთი ტიპისაა, რაც კულტურის გავრცელების არეალზე მიუთითებს, რაც შეეხება საერთო დეფიციტს ხის სამარხების ყობანურ კულტურაში, ის შეიძლება მარტივად აიხსნას ყობანური კულტურის გეოგრაფიით. იმის გამო, რომ ადგილი მთაგორიანია, ნაკლებად გვხვდება დიდი რაოდენობის ხე-ტყე. შესაბამისად დეფიციტური მასალა უნდა ყოფილიყო ხე და შესაბამისად, მას არ იყენებდნენ სამარხეულ კულტურაში. ხის, როგორც მასალის ფართოდ გამოყენება გვხვდება ნიგეზიანში, ლარილას სამაროვანზე [გობეჯიშვილი 2018: 270-271]. იმის მიუხედავად, რომ ბრილის სამაროვანი არის მთაგორიან ადგილას, იქ მაინცაა ხის სამარხები, ოღონდ კოლექტიური სამაროვნების შემთხვევაში, რომელიც თავის თავად არ გულისხმობს დიდი რაოდენობით მასალის დასახარჯად სამარხისთვის, რადგან დაკრძალვა ინდივიდუალური არ იყო და ასეთი სამარხები საკმაოდ იშვიათია. სამივე კოლხური კულტურის ძეგლად არის მიჩნეული და მათ მაგალითზე ადვილად ვხედავთ, რომ კულტურის შიგნითაც შეიძლება იყოს განსხვავება. თუ კულტურა ფართოდ არის გავრცელებული და ის მასალა, რომელიც კონკრეტულ ადგილას ადვილად მოსაპოვებელია, სადღაც დეფიციტური შეიძლება იყოს და ამით ეს მცირე განსხვავება კოლხურ და ყობანურ

სამაროვნებს შორის ადვილად აიხსნება. ასევე კონსტრუქცია ხასიათდება არაერთგვაროვნებით, რაც პირდაპირ მიუთითებს ასეთი სამარხების მზადებაში გამოუცდელობას. კოლხური კულტურის ფარგლებშიც კი მთავორიან ადგილებში მცირდება ხის სამარხების რაოდენობა მასალის დეფიციტის გამო.

ბრილში გვხვდება სამარხი [ლორთქიფანიძე 2002: 129-131], სადაც არის დაკრძალული მამაკაცი და ქალბატონი, ასეთივე სამარხი არის აღმოჩენილი თლიის სამაროვანზე [ტეხოვი 1980: 21-42]. ეს არის არატიპური კოლექტიური სამარხი, სადაც ორი მიცვალებული ერთ კონტექსტში გვხვდება, ანუ ისინი უბრალოდ არ არიან ერთად დაკრძალული, ისინი ერთმანეთისკენ არიან მიბრუნებულნი და მათი ინვერტარი ქმნის ერთიან სურათს, რაც მიუთითებს ამ ორ სამარხებს შორის მსგავსებაზე და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ყველა ეჭვი იმის შესახებ, რომ თლიის სამაროვანი მაინც არ არის კოლხური კულტურის ნაწილი უსაფუძვლო ხდება.

საინტერესოა, რომ ვლინდება ქვაყუთების ორნამენტირება, რომელიც გვხვდება ქ. კისლოვოდსკთან, რომელიც მიიჩნევა ყობანური კულტურის ძეგლად. ისინი ანალოგს პოულობს სულთანგორის სამაროვანთან. ქვაყუთების ორნამენტირება ხდებოდა იმ ადამიანების წარმოდგენით ასტრალური გამოსახულებებით [გობეჯიშვილი 2018: 337-338], ასრტალური წარმოდგენები კი პირდაპირ არის დაკავშირებული რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან. ბრილის და ურეკის სამაროვნებზე არის აღმოჩენილი კოლხური ცული, რომელიც არის შემკობილი ძაღლის გამოსახულებით [ვაჩაძე 2018: 64], ურეკის სამაროვანზე ასევე გვხვდება შუბისპირი ძაღლის გამოსახულებით [ლორთქიფანიძე 2002: 129-131]. ანალოგიური გამოსახულებაა ყობანურ კულტურაში მუჟიჩის სამაროვანზე აღმოჩენილ ბალთზე სვასტიკის გამოსახულებით, რომელიც ტრადიციულ გამოსახულებად ითვლება კოლხურ კულტურაში და მისი არაერთხელ აღმოჩენა ყობანური კულტურის ძეგლებში მხოლოდ ამტკიცებს მათ მსგავსებას [გობეჯიშვილი 2018: 289-310].

საერთოდ, როდესაც საუბარია კულტურებზე, აქ არ შეგვიძლია დავიჭიროთ მხოლოდ ერთი კონკრეტული პოზიცია, რადგან კულტურა არ ჩნდებოდა ერთ დღეში და არ იყო გავრცელებული მხოლოდ კონკრეტულ შემოფარგლული ტერიტორიით. კოლხურ ყობანური კულტურის შედარების შემთხვევაში, სამარხული ინვერტარიდანაც ჩანს, რომ კულტურები არის საოცრად მსგავსი და მათი გენერირება თითქმის იდენტური პრინციპებით ხდე-

ბოდა. ამაზე მიუთითებს ასევე ის, რომ ინოვეციები, რომლებიც ჩნდებოდა ორივე კულტურაში, არის თანადროული. თუნდაც იგივე სკვითური ელემენტები, რომლებიც ორივე კულტურაში თითქმის თანადროულად ჩნდება. რაც შეეხება განსხვავებებს, ისინი მხოლოდ ლოკალურ სახეს ატარებს, რადგან პირობითი ხის სამარხების ნაკლებობაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ეს ტერიტორია მთა-გორიანია და ფიზიკურად რთული იყო ხის მოპოვება და დამუშავება იქ, თუმცა პირობითად თლიას სამაროვანზე, რომელიც დღემდე სადავოა, რომელ კულტურას განეკუთნებოდა, არის აღმოჩენილი 2.4% ხის სამარხების საერთო პროცენტულობაა ყველა სამარხებთან, ეს ციფრი შეიძლება მიზეზული ჩანს, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ხე ასეთი დეფიციტური რესურსია, ეს პროცენტი საკმაოდ დიდია. ამიტომ, სამარხეული ინვერტარით მაინც თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა ეს იყო ერთ კერაში გენერირებული კულტურა, რომელმაც ლოკალური ვარიაციები შეიძინა.

Tekle Ugulava

**Similarities of Colchian and Koban cultures
according to the grave goods
Summary**

The similarity of the Colchis and Koban cultures has become a subject of controversy in the archeology of the Caucasus, and for many years there has been much debate whether they are two different cultures that are similar to each other or one culture that spread and became slightly different from the original. The research carried out mainly concerns the funerary tradition, which is almost the same in both cultures, and shows that not only their funerary tradition, but also their religion and way of life were almost the same, it is obvious that this is inseparable. Both cultures have the same root, and due to the fact that the Colchis culture began to develop earlier, it should be considered fundamental for this culture.

დამონმებული ლიტერატურა

- ჯ. კაკულია**, კოლხეთის (საქართველოს) ისტორია, თბ. 1994-2014
- გ. ვაჩაძე**, ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკა კოლხეთში და ინტერკულტურალური ურთიერთობები (ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში), თბ. 2018
- ი. გაგოშიძე**, კოლხური კულტურა, კოლხეთი, იბერია; ქართველთა მემკვირდეობა, 2014
- ოთ. ლორთქიფანიძე**, ძველი ქართული ცივილიზაციების სათავეებთან, თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002
- ნ. გობეჯიშვილი**, კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი **სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესების მიხედვით**, 2018
- Б. В. Техов**, Скифы и Центральный Кавказ в VII-VI вв. до н.э. Москва, «Наука» 1980

დანართის აღწერა


სურათი 1. თლიის სამაროვანი №68

სურათი 2. თლიის სამაროვანი №85


სურათი 3. ქვაყუთი

სურათი 4. შუბისთავი ძაღლის გამოსახულებით. ურეკი


სურათი 5. კოლხური ცული. ურეკი




სურათი 1




სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6